36

წელიწადი 1-ლი № 23

რედაქტორი: კატო მიქელაძე

გამომცემელი: ქალთა [illegible]

რედაქციის მისამართი პუშკინის ქუჩა, სახლი გოკიელოვისა „ძმობის" სტამბა ში. ქ. ქუთაისი

ხუთშაბათი 14 სექტემბერი 1917

[illegible] ბიბლიოთეკა

გაზეთის ფასი:		განცხადების ფასი:	
1 წლით	6 მ.	პირველ გვ. პეტიტი	25 კ.
6 თვით.	3 მ. 50 კ.	უკანასკნელ გვერ.	15 კ.
1 ნახ. თვ	1 მ. 80 კ.	სამგლოვიარო განცხადება	5 მ.
1 თვით	80 კ.		

ხმა ქართველი ქალისა

ფასი 15 კ. | ყოველკვირეული საპოლიტიკო სამეცნიერო და სალიტერატურო გაზეთი | ფასი 15 კ.

ქალებო, დაიცავით საარჩევნო უფლება!

ამხანაგებისა და თანამგრძნობთა საყურადღებოთ.

ამხანაგებო, გაზეთი „ხმა ქართველი ქალისა" თქვენი ჭირისა და ლხინის მოზიარე გაზეთია. მის განსამტკიცებლათ და გასავრცელებლათ საჭიროა თქვენი ნივთიერი და ზნეობრივი დახმარება. მოგვეხმარეთ ფულით და კალმით, მოგვაწოდეთ კორესპონდენციები და ლიტერატურული, თუ მეცნიერული მომენტისა და მიზნის შესაფერი წერილები! მოაწყვეთ დაბა ქალაქებში აგენტურა გაზეთის გასავრცელებლათ.

რედაქცია

14 სექტემბერი

ძველი რეჟიმის დროს ხალხ[illegible]თვის იტანჯებოდა ძალმომრეობით, რომ მას არა ჰქონდა ხმა არც ქვეყნის მმართველ გამგეობაში და არც იმ კანონების გამოცემაში, რომლის წინაშე მისგან მორჩილობას მოითხოვდენ. ძველი მმართველნი კანონებს სცემდენ ხალხის დაუკითხველად და არც იცავდა ასეთი კანონები ხალხის ინტერესს. ქალების მდგომარეობა განსაკუთრებით ცუდს პირობებში იყო, მით რომ მესაკუთრე ქალი იხდიდა თანასწორ გადასახადს მესაკუთრე მამაკაცთან, მაშინ როდესაც მას არა ჰქონდა თანასწორი ხმა უკანასკნელთან. სისხლის სამართალი ქალებს იმავე სასჯელით სჯიდა, როგორც მამაკაცებს და ზოგიერთ შემთხვევაში უფრო სასტიკადაც ერთსა და იმავე დანაშაულობისათვის. მაშინ როდესაც სამოქალაქო სასამართლო ერთსა და იმავე საჭიროებას მამაკაცისა და დედაკაცისას სრულიად სხვა და სხვანაირად აკმაყოფილებდა. და მათ თანასწორად არა სცნობდა, ქალს არ შეეძლო მიელო თანასწორი ჯილდო სამსახურში და თანასწორი ხელფასი ერთსა და იმავე შრომაში. საუკეთესო ადგილები დღესაც დახშულია ქალებისათვის. საშუალო განათლების ქალს აძლევდენ, იმ ადგილებს, სადაც მხოლოდ მდაბალი განათლების მამაკაცს უშვებდენ და იმასაც დიდი დამადლებით. მომავალმა დამფუძნებელმა კრებამ უნდა მოსპოს ეს უსამართლობა სქესთა შორის არსებული, რომ ძველი ძალმომრეობის მმართველობიდან არ დარჩეს ეგ ბარბაროსული ნაშთი. და თუ ასეთს კანონიერს მოთხოვნილებას ქალებისას დღეს უფლება მოსილი გუშინდელი მონა,—მშრომელი ნაწილი მამაკაცებისა წინააღუდგება, იცოდე[illegible] რუსეთის სოციალისტებმა, რომ ამით ისინი გამოიწვევენ სამკვდრო სასაცილო ბრძოლას სქესთა შორის მთელს სახელმწიფოში. დეე, ახსოვდეთ მათ, რომ მეოცე საუკუნის რევოლიუცია, რევოლიუცია მომხდარი უმაგალითო მსოფლიო ომის დროს, სადაც ხალხის მომეტებულს ნაწილს ამა თუ იმ სახელმწიფოში დღეს ქალები შეადგენენ, ვერ დასტოვებს მათ პოლიტიკურ სწორუფლიანობის გარეთ. რადგან ეს უქადის სრულს დამონავებას და დაჩლუნგებას სახელმწიფოს უმრავლესობას.

დიდი სიფრთხილე და წინდახედულობა მართებთ ქართველ სოციალისტებსაც ქალთა საკითხზე და ის პირები, რომელნიც დღეს ქალთა თვით მოქმედებას და ქალთა კავშირების მოწყობას, თვით-გამორკვევისათვის და თავიანთ ადამიანური უფლების აღდგენისათვის ხელს უშლიან სჩანს ჯეროვანათ ვერ ითვალისწინებენ უდიდეს უსამართლოების მავნებელ შედეგებს.

მიზეზი ქალთა მონობისა და ქალთა მოძრაობისა.

არ იყო ქვეყანა, სადაც ომი არ არსებულიყო და ამისათვის არ იყო ხალხი, რომელსაც დედაკაცი მეტნაკლებათ არ დაეჩაგრა. ებრაელების თვალში ცოლი ქმრის მოსამსახურეა, ისლამი დედაკაცს უმდაბლეს არსებათა სთვლის, რომელიც გაჩენილია მამაკაცების ტლანქი ჟინის დასაკმაყოფილებლად. თუ რამდენათ წარუხოცა პატრიარქალურმა ოჯახმა დედაკაცს პიროვნება ამას ჩინური ანდაზა გადმოგვცემს: „თუ გაყვები ცოლად ჩიტს, ამბობს გასათხოვარი ჩინელი ქალი, მე უნდა დავიწყო მასთან ფრენა, თუ გაყვები ცოლად ძაღლს მე უნდა დავიწყო მასთან რბენა, თუ მოყვები ცოლად მიწაში ჩაგდებულს ნაფოტს, მე უნდა დავჯდე მასთან და ვუდარაჯო მას."

როგორადაც არ უნდა ექცეოდეს ჩინელს ქალს ქმარი ის სიტყვის ამოუღებლად უნდა ემორჩილებოდეს მას. ცოლს არ შეუძლია შველა შესთხოვოს არც მთავრობას და არც თავის მშობლებს ქმრის სისასტიკის წინაღმდეგ. მას ნება აქვს მხოლოდ წავიდეს ტაძარში, ჩამოკიდოს იქ თავ-უკუღმა სურათი მისი ქმრისა და შესთხოვოს მოწყალება ღვთაებას, რათა შესცვალოს მან გული მისი მეუღლისა, რომელიც თავის ნამდვილ ალაგზე არა ფეთქს.

ჩინელს თავის ცოლზე ლაპარაკი არ უყვარს, მაგრამ, როცა მას მოიკითხავს ვინმე მახლობელი ის მოწყალე სახით უპასუხებს: „**საწყალი შინაური ჩერჩეტი,**" 1) ჩინეთში, როგორც ინდოეთში ცოლის სულიერი არსებობა სრულიად დამოკიდებული იყო ქმარზე, რომლის სიკვდილის შემდეგ ცოლს თავი უნდა მოეკლა, ან დაეწვათ იგი ცოცხლად. უკანასკნელი ინდოეთში ხდებოდა, ეგ ჩვეულება დიდი ხანი არ არის რაც ჰოლანდიისა და ინგლისის მთავრობამ ძალით გადააგდებინა მათ. ძველ პატრიარქალურმა ოჯახმა თავის უმაღლეს განვითარების წერტილს ძველი მცნების პატრიარქატში მიაღწია ე. ი. აბრაამის ოჯახში. შემდეგ ის ღებულობს კანონიერს მონოგამიურს ფორმას და აღწევს ჩვენს დრომდე. ქრისტიანულმა უმაღლესმა სარწმუნოებამ, თუმცა ყოველ გვარ ძალმომრეობას და კაცისგან კაცის დაჩაგვრას ზნეობრივად წინააღუდგა, მაგრამ არსებითად ვერ შესცვალა მან ვერც ძველი იერარქიული სოციალური წყობილობა და ვერც დედაკაცის მდგომარეობა. მართალია პირველ ყოფილმა ქრისტიანობამ დედაკაცსა და მამაკაცს ერთნაირი ღირებულობა მისცა სულიერად, მით რომ ორთავესათვის ღვთიური მეფობა ცაზე და დედამიწაზე მისაწდომი გახდა. მაგრამ მას შემდეგ რაც ის ოფიციალურ სარწმუნოებით იქცა და წამებულთა ნაცვლად მწვალებელნი მფარველად აღმოუჩნდა, წინანდელი წარმართული შეხედულობა ცხოვრებაზე და დედაკაცზე ახალი სახით დაკანონდა.

სახარებისა და ბიბლიის ერთად არრევით ებრაელთა ძველი პატრიარქატი კვლავ აღსდგა და ერთს დროს გაბატონებული დედის უფლება სრულიად გააქარწყლა. მეომარმა სახელმწიფომ ქრისტიანულს სარწმუნოებას ის მფარველობა აღმოუჩინა, რომ დესპოტი იჰოლევასა და უაღრესად კაც-მოყვარე ნაზარეველის მცნებას სინტეზი გაუკეთა. და თავისი ძლევა მოსილობით შესძლო შეურიგებელთა შერიგება. ქრისტიანულ ქვეყნებში წარმართულ კერპების ნანგრევებზე ებრაელთა ძველი ღმერთი დადგა, რომელმაც დედაკაცი სიბინძურისა და სიბოროტ[illegible] იქცია და თავისი [illegible] ღვაწლი კაცობრიობის წინაშე ცოდვის შესანანიებელ აქტად დაუსახა. ამ გვარად ის მცნება, რომელიც მოითხოვდა ადამიანის სულიერი პიროვნების აღდგენას და გონების ვნებაზე გაბატონებას, უმაღლესი ზნეობრივი იდეალის რწმენით და სულიერი ნების ყოფის სიძლიერით კაცთა შორის ურთიერთ ნდობა, სიყვარულის გასამეფებლათ ცარიელ ფიქციათ იქცა. სამაგიეროთ ის ძველი მცნება, რომელიც მოითხოვდა ძველებურად ლოცვა შესაწირს, ამა, თუ იმ საჭმელის მოთმენას, რამდენათ ადვილი შესასრულებელი იყო, იმდენათ ადვილი გასაგებიც, იმ დროინდელს ზნეობრივად ტლანქ საზოგადოებაში და მიღებული და განმტკიცებულიც იქმნა.

ამ ორმა ერთი მეორეს საწინააღმდეგო მცნებათა ერთმანეთში არევამ, კიდევ უფრო განამტკიცა კაცთა შორის არსებული მონობა, ბატონობა. ერთის მორჩილობა და მეორეს ბრძანებლობა, იმ განსხვავებით, რომ უფრო დაჩაგრულთ და ტანჯულთ სამოთხის კარის გაღებით საიქიოს კეთილი მოცხოვარი დაუხვდებოდა. და უფრო ძლიერსა და გალაღებულთ მრავალი შეწირულების შემდეგ ძლიერი იჰოლევა მიიღებდა. განა ტყვილა აძლევდა რომის პაპა ინდულგენციას? მას საწყალი კაცი ვერ ეღირსებოდა, ამისათვის ქონება იყო საჭირო!

კათოლიკეთა სასულიერო წოდებამ, რომლის ძლევამოსილობა სახელმწიფოში თვით მეფეებსაც იმორჩილებდა, სულის საცხონებელ უმთავრეს საშუალებათ ასკეტიზმი დაისახა, რომლის წყალობით შემოღებული იქმნა სხეულის წკეპლა და ათასნაი-

---

1) Срединная имперія„ Э. и О Реклю.

რი ტანჯვა ხორცისა სქესობრივი გრძნობის ჩასაკლავად.

მსოფლიურ ცხოვრებაში კი ცოლქმართა კავშირი, როგორც ძველად ყოველ სიყვარულს მოკლებული ადამიანის ბუნებრივად ცოდვილი მოთხოვნილების შედეგათ იქცა, როგორც დაკმაყოფილება ბრძანებელი მამლის ფიზოლოგიური მოთხოვნილებისა მონა დედალთან, ვისაც ღმერთმა დაუწესა ტანჯვა, წვალებით შობა შვილთა თვისთა„. თუ, რომ ძლევა მოსილმა იჰოლევამ დედაკაცები მით დასაჯა ასეთი სასჯელით, რომ ევამ ადამს მისგან აღკძალული ვაშლი შესთავაზა და აცდუნა. ქრისტიანი მღვდელ-მთავრები ერთხელაც არ დაფიქრებულან იმაზე, თუ რისთვის დაისაჯა ასეთივე აქტით დანარჩენი ცხოველები დედამიწაზე, რომლებიც ქალებზე ნაკლებ არ იტანჯებიან მშობიერების დროს; და რომლებსაც არც ვაშლი მოუწყვეტიად სამოთხის ბაღში და არც ატამი, რომ მით დიდი იჰოლევა გაებრაზებინათ. მაგრამ არა თუ ასეთ კითხვებზე არ იწუხებდენ თავს, არამედ ერთს მსოფლიო საეკლესიო კრებაზე კითხვაც დასვეს „ადამიანია, თუ არა დედაკაციო?“ და მხოლოდ იმის წყალობით, რომ ისე ქრისტე თავის თავს ადამიანის შვილს ეძახდა და ასეთი ადამიანი მისთვის დედა მარიამი იყო, დიდი დავის შემდეგ აღიარეს, რომ ქალიც ადამიანათ ეცნოთ.

ამ გვარად ცოლქმრობა ყოველ სიყვარულს მოკლებული დაუძლეველ ცოდვილ მოთხოვნილებათ იქმნა მრევლისათვის აღიარებული და ნება დართულიც. დასავლეთ ევროპაში საშუალო საუკუნეში სიყვარული შეეძლო მხოლოდ გაუთხოვარს ქალს, რომელიც გათხოვების შემდეგ კარგავდა თავის სატრფოს. ამ ხანებში იჩინა თავი მწერლობაში მისტიკო რომანტიულმა მიმართულებამ. გაჩაღდა ეგრეთ წოდებული Cours d'amour, როცა ტრუბადურები და პოეტები ლექსებით ამკობდენ თავიანთ მიჯნურებს. ასეთმა მოვლენამ, თუ რომ მეომართა შორის წარმოშვა რაინდობა, მით რომ მხედარი თავის სატრფოს წინაშე თავმოსაწონებლად მრავალს სიგმირეს იჩენდა, სამაგიეროთ ასკეტების სულიერი სიმშვიდე ერთობ დაარღვია. თუ მხედრისათვის სექსუალური ინსტინკტის გაღვიძება ერთგვარი ამპულსია სამხედრო სიგმირისათვის, როგორც იმპულსი გამაძლიერებელი მიხტომითი ინსტინქტისა. სამაგიეროთ ასკეტებისათვის ის,-სულის წამწყმენდი და დამღუპველია. და აი ამ წაწყმენდის შიშით დამფრთხალმა სასულიერო წოდებამ დედაკაციც ეშმაკის კერძათ აღიარა, როგორც მათი სულ მოკლეობის მაცდუნებელი არსება. მეომარი და ასკეტი აი ორი პატივცემული პიროვნება საშუალო საუკუნისა.

და როცა პირველი გაურბოდა ქალს, მეორე მაშში საგმირო აღმაფრენას ეძებდა და თაყვანსა სცემდა. საშუალო საუკუნეში დედაკიცის მდგომარეობა მით უფრო სატანჯველი იყო რომ, ერთი მხრით მოითხოვდენ მისგან: სავნებათ-ტკბილო სინაზე, მიმზიდველობის განვითარებას, რომ თავისებური პასიური სექსუალური ტემპერამენტის (женственность) გამოფენით უფრო მეტად გაეღვიძებინა აქტიური სექსუალური ტემპერამენტი (мужественность) მამაკაცებისა; და მეორე მხრით სასტიკათ დევნიდენ მათ, ამავე ქალურობის შედეგისათვის. რაც საჭირო იყო მეომრებისათვის, ის საზიანო იყო სამღვდელოებისათვის. ქალებს კი ერთიცა და მეორეც უნდა დაეკმაყოფილებინა. როგორ უნდა მოეხერხებინათ ეს თუ არ თვალმაქცობით ამას იმ დროინდელი საზოგადოება არ ჰკითხულობდა.

არავითარი სულიერი საზრდო, არავითარი გონებრივი წინსვლა ქალებისათვის, გარდა სექსუალური მიმზიდველობისა და ცოდვის მოსახდელად ლოცვა მარხულობისა. 11 და 12 საუკუნეში, ქრისტიანულმა მეომარმა საზოგადოებამ ქალებს კუდიანობა დასწამა და ათასობით ჩასწვეს ცეცხლში. თუ რომ ძველ დესპატიურ საჩელმწიფოში დედაკაცის ერთად ერთ სკოლად ოჯახი ითვლებოდა, საშუალო საუკუნეში ასეთს სკოლად მონასტერი გახდა მათვის და ისეც მხოლოდ მაღალ წოდებას ქალებისათვის.

კატო მიქელაძე

(შემდეგი იქნება)

დედაკაცის ბედი.

თუ ისტორიულ წყაროებს ვიწამებთ, დედაკაცის ბედს თავიდანავე ჩირქი მოეცხო... უკეთ რომ ვთქვათ,—მოსცხო მამაკაცმა:

—მე შემაცთინა შენ მიერ მოცემულმა ცოლმაო,—ხმამაღლა დააბეზღა ადამმა ცოლი.

ევა შეაცთინა ეშმაკმა, რომელმაც თვით ქრისტესაც-კი მოუნდომა გამოცდა... ევა შესცდა!.. მაგრამ რათ შესცდა, ევას სიტყვით, ადამი? ნუ თუ იმას არ ქონდა გამოცხადებული ღვთისაგან, არ ეჭამა აღკძალული ხილი? რათ არ ამხილა ევას, რომ ის შესცდა და რათ იგემა თითონ ცოდვა?... და თუ შესცდა, უნდა ეთქვა: „ჩვენ შევცთითო“.

ევას ადგილზე ადამიც შესცთებოდა, ვინაიდან, თუ ევამ შეაცთინა იგი, მით უმეტეს მას შეაცთენდა ეშმაკი. ამ სახით, თუ მეტი არა, დამნაშაობა ნაკლები არ მიუზღვის ადამს... მიუხედავდენ ამისა, პირველად მან გაკრა ბჭყალები დედაკაცს, ისიც მაშინ, როცა თვისი მზგავსი—ამხანაგი დედამიწაზე მხოლოდ ევა იყო.

ევა მოიხარა ძლიერების წინაშე: მორიდებამ იმოქმედა მაზე, თუ მართლაც მეტ დამნაშავედ იგძნო თავი,—უკმაყოფილება არ განაცხადა და სამირადისო წყევაც დაუმკვიდრა სქესით მოდგმას.

ამ პირველ დღიდან, დედაკაცმა ზურგი ვერ მოიმაგრა; მამაკაცის უღლის ქვეშ დარტვინავს...

მართალია, ერთ დროს ყოფილა ხანა მატრქატობისა, მაგრამ ან ამაში რა არის საქები? საქმე ის არის, რომ არც ერთმა სქესმა უფლებით მაღლა არ აიწიოს. ორივე უნდა იყოს უფლებით სწორი.

ზოგი ბუნებისკენაც იშვერს თითს, აქაო და ბუნება დედაკაცს სისუსტით ასხვავებს მამაკაცისგანო. მაგრამ ეს სავსებით მართალი არ არის... ამ შემთხვევაში ოჯახი—აღზრდა უფრო დამნაშავეა, ვიდრე ბუნება.

ვაჟი რომ 5—6 წლის გახდება, მამა გეშავს მის ნაჯახსა და თოხზე, მთაში და ბარში, უჯის ურემზე, მიყავს ტყეში, თუ ქალაქში, აჩვევს ვაჭრობაზე, ურევს ხალხში, აძლევს სამამაკაცო მძიმე სამუშევრებს და სხ. და სხ., რითაც ახალგაზდას თანდათან უმაგრდება მუსკულები, ვითარდება ფიზიკურად, ემატება ღონე და ღონიერდება გონებრივადაც.

მაშინ, როდესაც იმავე წლოვანე-

საზოგადო ტემპერამენტის მსხვერპლზე.

(როგორ ვებრძოლოთ პროსტიტუციას!)

აქამდის ჩვენ ვარკვევდით, თუ როგორ დავიფაროთ ქალები პროსტიტუციიდან. უეჭველია ეს უმთავრესია არსებული სოციალური სიავის მოსასპობლად. მაგრამ მე დამეკითხებიან: რა უყოთ იმ პროსტიტუტკებს, რომელნიც არსებობდენ და კიდევ დიდ ხანს იარსებებენ? დავტოვოთ ისენი ბედის ანაბრად, თუ მივიღოთ რაიმე ზომები მათ პატიოსანი შრომისადმი მისაზიდათ?

ყველა ის ხალხი, რომლებიც მუშაობდენ პროსტიტუტკების პატიოსან ცხოვრებისადმი დასაბრუნებლად აღიარებენ რომ ეს უმაღლესად უმადური შრომაა. მისტრის Bravell Booth-ი მომუშავე ინგლისის მფარველ ჯარში აკვირდებოდა 20000 ქალის ცხოვრებას. ის ლაპარაკობს, რომიყო სრულიად სასოწარკვეთილი თავისი თავ-განწირული მუშაობის უშედეგობით. ვინ არ იცის, თუ როგორი უმნიშვნელო შედეგი მოაქვს სხვა და სხვა გამასწორებელ დაწესებულებებს მოწყალე ოჯახებში პროსტიტუტკებისათვის? მიუხედავათ ამისა ჩვენ არაფრის გზით არ შეგვიძლია დავამტკიცოთ, რომ პროსტიტუტი ქალები გაუსწორებელნი არიან. ჩვენ ძრიელ კარგათ ვიცით, ისეთი შემთხვევები როცა პროსტიტუტკები თავის ნებით პატიოსანს ცხოვრებას უბრუნდებოდენ. ცხადია ის საშუალებები, რომელსაც მათ გასასწორებლად დღემდე ხმარობდენ გამოუდეგარია და უნდა შეიცვალოს სხვაზე.

შეიძლება დაკარგულ ქალიშვილების პატიოსან ოჯახში შეყვანა, სადაც მას ადამიანურად მოექცევიან გამხდარიყო მათი გასწორების უკეთეს საშუალებათ. ბერლინში ებრაელთა კონგრეგაცია განსაზღრულს ჯამს იხდის მისთვის, რომ მოათავსოს დაცემული ებრაელი ქალიშვილები პატივსაცემ ოჯახში პანსიონერკებათ, სადაც თავზე მიიღებენ მათზე მზრუნველობას და მოექცევიან მათ, როგორც თავის ოჯახის წევრებს.

ფრაუ Cora von Bulzingslowen მოგვითხრობს ორს მარტოხელ ქალზე. რომლებმაც აიყვანეს ქუჩიდან ქალიშვილი და საკვირველი მოთმინებით მუშაობდენ მათ მოსაქცევად პატიოსან გზისაკენ და მიაღწიეს კიდეც მიზანს.

ასეთი საშუალებით შეიძლებოდა გაცილებით მეტის გაკეთება, ვიდრე ისეთით, რომელსაც დღემდე ხმარობდენ. მთელი უბედურობა იმაშია, რომ იშვიათია ისეთი პატიოსანი ოჯახი, რომელიც დასთანხმდებოდეს პროსტიტუტკის აყვანას და მის გასასწორებლად მუშაობას. ამისათვის ასეთი საშუალება არ იძლევა საგრძნობელს შედეგს.

ჩვენ ვფიქრობთ არსებულ პირობებში ერთად ერთი საშუალება, რომელიც შესძლებდეს პროსტიტუტკას სწორ გზაზე დაბრუნებას მდგომარეობს იმაში, რომ მოსპობილი იყოს ყოველი დაბრკოლება, რომელსაც შეუძლია ხელი შეუშალოს ასეთს გასწორებას.

უმთავრესი დაბრკოლება იმაში მდგომარეობს, რომ მას ზურგს აქცევს ყველა პატიოსანი ხალხი, ხელს კრავენ და მით იჭერენ ბიწიერებაში. ცივილიზაციურ ხალხს პირველ ყოვლისა უნდა ახსოვდენ კაცთმოყვარეობა, რომ დაინახონ მათში ადამიანი. უბედური მსხვერპლნი ერთობ საჭიროებენ პატიოსანი ქალების სიბრალულს. მათ შეუძლიათ უფრო მეტი დახმარება გაუწიონ მას, ვიდრე საქველმოქმედო და გამასწორებელ დაწესებულებას.

უნდა გამოვტყდეთ, რომ დღემდე რუსის განათლებული ქალთა უმრავლესობა სასტიკათ ექცეოდენ ამ უბედურთ, მაგრამ ეს აიხსნება მათი საგნისადმი გაუცნობლობით და იმ მიზეზების უცოდინარობით რომელნიც აგდებთ ქალიშვილებს გარყვნილებაში. დღემდე ქალები ყველაფერს უჯეროდენ მამაკაცებს, რასაც ისენი ამ საგანზე მათ მოუთხრობდენ. მამაკაცები კი, იმდენათ შეუბრალებლათ ექცევიან თავიანთ მსხვერპლს, რომ მზათ არიან ყოველ ბოროტებაში გაამტყუნონ ისენი, ოღონდა გაამართლონ თავიანთი თავი. დროა ქალებმა შეუდგენ დამოუკიდებლათ სხვა და სხვა საკითხის გარკვევას და იქონიონ მათზე თავიანთი საკუთარი შეხედულობა. სუტენერები, მაჰანკლები, და სხვა და სხვა საროსკიპოების გამგენი, არა თუ აგდებენ ქალებს პროსტიტუციაში, არამედ ძალითაც იჭერენ მათ ასეთს მდგომარეობაში. ასეთი მოვლენათა მოსპობა დიდათ საჭიროა, რომ ქალებს მიეცეს საშუალება ბიწიერებიდან თავის დახსნისა. პირველ ყოვლისა რასაკვირველია საჭიროა, რომ აღიკრძალოს ქალებით ვაჭრობა და დასჯილი იქმნას ასეთი მოვლენა. ზოგიერთ ცივილიზაციურ ქვეყნებმა უკვე შეუდგენ ქალთა სხეულით ვაჭრობის დევნას.

1896 წ. შვეიცარიაში გამოიცა კანონი, რომლის ძალით ქალებით ვაჭრობა ისჯება. ჯარიმა ასეთს შემთხვევისათვის გადასახადი 20-დან 1000 ფრანკამდე ახწევს. ციურიხში ჯარიმა 5000 ფრანკამდე ადის. ხელ მეორეთ კანონის დარღვევისათვის 15,000 ფრანკამდე. ქალით ვაჭარნი ისჯებიან ციხით, გამასწორებელი დაწესებულებით და ან სამუშაო სახლით 8 დღიდან 5 წლამდე.

ზოგიერთ შვეიცარიის კანტონებში პროსტიტუცია, როგორც ხელობა ისჯება ჯარიმით, ციხით და კანტონიდან გაძევებით. დ-რი შმიტი თავის მოხსენებაში ბრიუსელის საერთაშორისო კონფერენციაზე, საიდანაც ჩვენ ამოვიღეთ ზემო აღნიშნული ფაქტები, ამბობს რომ ცხადი და საიდუმლო პროსტიტუცია არსებობს შვეიცარიის 18-ს დიდს ქალაქებში: ლუცერნში, ციურიხში, ბაზელში, ჟენევაში და სხვა. დანარჩენ შვეიცარიის ქალაქებში არ არსებობს არც ფარული და არც ცხადი პროსტიტუცია. ბედნიერი ქვეყანა, რო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბიდან ქალს უყენებენ ქოთანს, აძლევენ ხელში ნემს და ძაფს, საზოგადოდ, კეტავენ სახლში და მით ასუსტებენ მის ფიზიკურსა გონებრივ ძალას.

ბუნება რა შუაშია, მაგალითათ, იმაში, რომ მამაკაცი ტანისამოსითაც ირჩევა დედაკაცისაგან! მამაკაცს ხელ—ფეხი თავისუფალი აქვს ტანისამოსის გავლენისაგან მაშინ, როდესაც დედაკაცი შებორკილი სდგას ციდაქუსლიან ფეხსაცმელზე, ითმენს კორსეტის ბარბაროსობას. ათასნაირად იმკობს თავს, რომ თავი მოაწონოს მამაკაცს თავის სიწერწეტე სინარნარით, სისუსტე სიფერმკთალით და იმ ხელოვნურ ღიმილ მიმოხრით, რომელიც ხანგძლივი მეცადინობით, უთვალავი ცდით, დიდძალი დროის დაკარგვით, ტანჯვით და ჯაფით უსწავლია სარკის წინ, ვით ბეჯით შარგიდს გაკვეთილი მრისხანე მასწავლებლისა... და ყოველივე ეს ვით ფიზიკურად, ისე გონებრივად ხომ ასუსტებს ადამიანს!...

დიახ.. მაგრამ კიდევ ამტყუნებენ დედაკაცს—მაცთურობაშიაც: — **Женщина пока съ печи слетитъ семьдесятъ семь думъ передумаетъ,**“ ამბობს ხალხი.. მაგრამ რა ნაირად შექმნა ქალმა ასეთი მდგომარეობა?—მონობით... უმეტეს ნაწილად მონა უფრო დახელოვნებულია, ვიდრე დამმონებელი. აილეთ გინდ ხალხი: ცხოვრებაში გაშორებით უფრო დახელოვნებულია დამონებული ხალხი დამმონებელ ხალხზე, რაც აიხსნება მით, რომ როცა დამმონებელს სძინავს, მაშინ დამონებულს ღვიძავს და სულ იმის ფიქრსა და ცდაშია, რანაირად იზრუნოს თავისი კეთილდღეობისთვის. და ცდა და ფიქრი ხომ ახელოვნებს კაცს!

ქალიც აგრეა, და ვის რათ უკვირს, რომ ის მამაკაცზე უფრო დახელოვნებული იყოს იმ საქმეში, რაზედაც იგი ფიქრობს და ცთილობს.. აქიდან ლოღიკური დასკვნია: ქალი, რომ თავისუფალი იყოს და იგი საკულტურო საქმეებზე ფიქრს ანდომებდეს, იმ დროს, რასაც დღეს ანდომებს ის მამაკაცს არა რომელი მხრით არ ჩამოუვარდებოდა, გადააჭარბებდა კიდეც.

და სწორედ აქ მარხია შავი ძაღლი!

დედაკაცი ებრძვის მამაკაცს.. მარამ რა გზით?—იმ გზით, რაც გზა მას დიდი ხნით უნდა გაეშვა ხელიდან. ამ გზით თავისუფლების მოპოება ყოვლად შეუძლებელია.

„შენ თითონ ხარ შენი ბედის მჭედელიო“,—ნათქვამია და ჭეშმარიტებაც არის.. მაგრამ, ესეც არის, რომ ბედის მჭედელმა უნდა იცოდეს, როგორ გამოკვეროს დაუნდობელ ცხოვრების თილისმურ გრდემლზე თვისი ბედი!

აი როგორ:

დედაკაცი უნდა ცთილობდეს, რომ სარჩოსთვის იგი მამაკაცისაგან არ იყოს დამოკიდებული; ის უნდა ცთილობდეს, რომ თვისი საკუთარი შრომით მოისპოს ყოველივე ის, რაც ცხოვრებისთვის საჭიროა.. და რომელი დედაკაციც ამ გზას ადგია, ის, კერძოდ, ახლაც თავისუფალია მამაკაცის ბატონურ გავლენისაგან.

როცა ასე ვამბობ, ღრმად დარწმუნებული ვარ, რომ დედაკაცმა თუ ხელი გაანძრია, თუ შრომა არ დაიზარა და ზედმეტ ხარჯებს ზურგი აქცია, იგი დამოუკიდებლად შეძლებს თავის რჩენას და სრული თავისუფლების დღეც მაშინ გაუთენდება.

ჰილეთ გინდ სოფლის დედაკაცი, ჩვენი უკვდავი მწერლის—ი. ჭავჭავაძის მოთხრობის გმირი, ოთარაანთ ქვრივი, წაიკითხეთ და დარწმუნდებით, რომ ქალმა თუ ხელი გამოიღო, არავინ მამაკაცზე ნაკლებად არ გაუძღვება ოჯახის და თავის რჩენის საქმეს.. ოთარაანთ ქვრივი თავისუფალიც იყო.

აი ერთად—ერთი გზა, რომელზე შემდგარ დედაკაცს შეუძლია ყოველ მხრით გაუსწორდეს მამაკაცს.

თორემ, აბა ერთი რას ნიშნავს, რომ დედაკაცი თვალებში შეყურებს მამაკაცს, რომ ცხოვრებისთვის საშუალება გაიჩინოს!. რა თქმა უნდა, ამ გზით იგი თავისუფლებას ვერ მოიპოვებს.

აბა ერთი რას ნიშნავს, რომ საროსკიპოები სავსენი არიან როსკიპ ქალებით, რომ თვისი სხეული მიაქირავონ მამაკაცებს და ნაშოვარი ფული ფლაგონ სალებავებში, ურომლისოდ, მათ არ გონიათ, რომ თავს მოაწონებენ მუშტრებს!

სხვა არა იყოს—რა, რომელი უფრო ღირსეული სახელია: მშრომელი ქალი, თუ როსკიპი ქალი?

წყლის ნაყვაა თავისუფლებაზე ფიქრი, სანამ დედაკაცის სხეულის გაქირავება არ მოისპობა და ჯანღონის გაქირავებას ხელს არ მიყოფს.

მხოლოდ უკანასკნელი გზით მოიპოება თავისუფლება.

კირილე წუთისოფლელი.

ჟურნალ-გაზეთებიდან.

სარატოვიდან

ნიკოლაევსკში სამარშო როტამ დაანგრია ღვინის სარდაფი სადაც ინახებოდა რაოდენიმე ათი ათასი თუნგი სპირტი. ამტყდარი უწესოებით გაჩნდა ცეცხლი, რომელშიაც დაიწვა ორასი კაცი. ქალაქი შიშის ზარმა მოიცვა.

სამარა

სამარაში დაიჭირეს მთელი ბრბო ავაზაკ კატორგელებისა, რომლებიც ციმბირიდან რუსეთში მოდიოდენ. სარატოვის ქალაქის საბჭომ დაადგინა მოაწყოს დიდი სარძეო ფერმა ქელაქისათვის

მთავრობის კრიზისი

ცდა კოალიციური კაბინეტის შედგენისა ჯერ ჯერობით უნაყოფოთდარჩა

თავადი ლვოვი

ხმები, ვითომ თავად ლვოვი ჭკუიდან შერყეულ იყოს სიცრუე გამოდგა, ლვოვი საზამთრო სასახლეში იმყოფება მას დარაჯათ იუნკრები უდგას.

კორნილოვის საქმის გამოძიებას სამხედრო საზღვაო ბრალმდებელი შაბლოვსკი მეთაურობს.

ახალი ამბავი.

ვინაიდან ქაღალდის ფასმა და საფოსტო გადასახადმა ერთობ აიწია ჩვენ იძულებული გავხდით ჩვენი გაზეთის ფასიც აგვეწია. დღეიდან ცალკე №-რი გაზეთი „ხმა ქართველი ქალისა“ ღირს 15 კაპ.

ფულის გატაცება.

— ენკენისთვის 12-ს რიონსა და ქუთაისის შუა ვიღაც ჯარის კაცმა მგზავრს 500 მანეთი ჯიბიდან ამოაცალა და მატარებლიდან გადახტა.

პროვინცია

—10 ენკენისთვეს ჩვენი გაზეთის რედაქტორი **კატო მიქელაძე** მიწვეული იქნა ღ. სუჯუნაში, სადაც მან წაიკითხა ლექცია ქალთა კავშირების საჭიროებაზე. ლექციის შემდეგ ერთ ხმათ გამოითქვა სურვილი კავშირის დაარსებისა არჩეული იქნა.

მელიც ამტკიცებს, რომ პროსტიტუციასთან ბრძოლა შესაძლებელია. ჩვენში—რუსეთში არა მარტო ქალაქებში, თვით სოფლებშიაც კი არსებობს პროსტიტუცია.

ფინლანდიაში ჩვენ ვხვდებით კანონს, რომელიც დევნის ქალებით ვაჭრობას. ფინლიანდიის სისხლის სამართლის წესდებაში ჩვენ ხვდებით შემდეგს პარაგრაფს: „ვინც გახსნის ოჯახებს ქალების გასარყვნელად ისინი დასჯილნი იქნებიან, როგორც მაჭანკლები გამასწორებელ სახლში დატყვევებით არა უმეტეს სამი წლის ვადით და სამოქალაქო უფლების აყრით.“

რასთვის არიან ფინელი ქალები ასე ბედნიერი, რომ კანონი კრძალავს მათ ვაჭრობას? რასთვის არიან აგრე უბედურნი დანარჩენი ქალები რუსეთის სახელმწიფოსა: რუსები, პოლონელები და სხვანი, რომლებით ვაჭრობენ როგორც მიანებით? რადგან სუტენერები ცხოვრობენ პროსტიტუტკების ხარჯით და აიძულებენ ქალებს ბიწიერებაში ცხოვრებას, ამისათვის ზოგიერთ ქვეყნებში მათ წინააღმდეგ შეუდგენ დამსჯელი ზომების მიღებას. გერმანიაში სუტენერს ისე უცქერიან როგორც მაწანწალას და მათვის შესაფერ ზომებსაც ღებულობენ, აგრე ხდება ბელგიაში და საფრანგეთშიაც. რასაკვირველია საჭიროა ამ წურბელთა დევნა, რომელნიც აიძულებენ ქალებს პროსტიტუტკობას და სწოვენ მათ სისხლს. მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ ისეც რომ საზოგადოთ ქალი სუტენერს იძენს იმ მიზნით, რომ თავი დაიცვას საექიმო პოლიციურ ზედამხედველობიდან და ან მოატყუოს უკანასკნელი. ამისათვის ზედამხედველობის გაუქმება თავისთავად შეამცირებს სუტენერებთა რიცხვსაც. საექიმო პოლიციური ზედამხედველობის გაუქმება საჭიროა მისთვის, რომ ქალებს თავისუფლად შეეძლოსთ პატიოსან გზაზე დაბრუნება. ჩვენ ზევით აღვნიშნეთ, თუ რამდენათ ზედამხედველობა აძნელებს უკანასკნელს და როგორ მისი მფარველობის ქვეშ ყვავდება ქალთა სხეულით ვაჭრობა.

ამბობენ, თუ რომ ზედამხედველობა მოისპო და საროსკიპოები დაიხურა, მაშინ წესიერი ქალები საფრთხეში ჩავარდებიან. მამაკაცები თითქო მათ დაეტაკებიან და როგორც მხეცები ძალას მიიტანენ მათზე.

სხვისთვის არ ვიცი და ჩემთვის კი ასეთი მოსარჩლეობა ზედამხედველობისა წარმოადგენს სრულს უვიცობას და სისულელეს. ერთი მისთვის, რომ არ შემიძლია დავრწმუნდე მაშიდ, რომ რუსის მამაკაცები ასეთი მხეცები იყვნენ. მეორე მისთვის, რომ სხვა ქვეყნის მაგალითები სრულიად არ ამართლებენ ასეთს შიშს.

ინგლისში, ნორვეგიაში ზედამხედველობა მოსპობილია. მაგრამ იქაური ქალები ჯერ არ ჩივიან გაუპატიურობას და არა თხოულობენ რეგლამენტაციის აღდგენას.

წინააღმდეგ, როცა კი რეგლამენტაციაზე წამოაყენებენ საკითხს მას ყოველი საშუალებით წინააღმდეგობას უწევენ. ჰოლანდიაში ზოგიერთ ქალაქებში არსებული რეგლამენტაცია მოსპეს. დანიაში მრავალ ქალაქებში გააუქმეს ზედამხედველობა. მიუხედავათ ამისა არც იქ არც აქ გამოუთქვამთ ქალებს სურვილი მისი აღდგენისა.

ამბობენ, რომ ჩვენი ხალხი მხეცია და ამისათვის საჭიროა ზედამხედველობა. ვინც ამას ამბობს ის ივიწყებს მას, რომ მხეცური და სასტიკი ზომები არასოდეს კულტურულად არ მოქმედობენ, არამედ ხელს უწყობენ ხალხის გამხეცებას. როგორ იფარავს ქალებს საექიმო პოლიციური ზედამხედველობა პროსტიტუციაზე პეტერბურგში შემდეგიდან სჩანს.

როგორც ვიცით ზედამხედველობა არსებობს, არა მარტო მისთვის რომ გააფრთხილოს ვენერიული სნეულების გავრცელება პროსტიტუტკების შემოწმებით და მათ ძალით საავათმყოფოში დამწყვდევით, არამედ იმისთვისაც რომ მოსპოს პროვაკაცია ე. ი. ქალების მიერ მამაკაცების შეტყუება. თუ რომელიმე მამაკაცს მოეჩვენება, რომ ღამით მიმავალი ქალი შეტყუებას უპირობს, მას შეუძლია გალახოს ის და დააბეზღოს საექიმო პოლიციურ კომიტეტში და დასჯიან მას დატყვევებით მისთვის რომ მან მოინდომა მამაკაცის შეცდენა. ეხლა ვიკითხოთ, თუ როგორ იცავს იგივე ზედამხედველობა პატიოსანს ქალებს. ღამე ქუჩაში მიმავალს წესიერს ქალს, არა თუ აედევნებიან მამაკაცები, არამედ შეურაცყოფასაც აყენებენ მას. მაგრამ აქ ამ შემთხვევაში მათი სხეულის მფარველი არავინა სჩანს. ისინი იძულებულნი არიან მოითმინონ აღმაშფოთებელი აკვიატება თვით მამაკაცების სხეულის დარაჯთაგან. განსაკუთრებით ასეთ შემთხვევაში იტანჯებიან საბრალო მდაბიო კლასის ქალები. წესიერად ჩაცმულს ქალს შეუძლია მიმართოს ქუჩის დარაჯს თუ ის ამ დროს მის მახლობლად სჩანს. ღარიბ ქალიშვილს არც ეს შეუძლია, რადგან დარაჯი მის თხოვნას ყურადღებას არ მიაქცევს. თუ როგორ იცავს საექიმო პოლიციური ზედამხედველობა ქალების პატიოსნებას, ამას ამტკიცებს მრავალ რიცხოვანი ძალდატანება არა მარტო ქალიშვილებზე, არამედ ბავშებზედაც. დროა ქალებმა უარყონ ასეთი ზღაპრების რწმენა. საექიმო—პოლიციური ზედამხედველობა პროსტიტუციაზე არსებობს არა წესიერ ქალების დასაცველად, არამედ მისთვის, რომ მამაკაცები დიდ რწმენას ამყარებენ ამ მედიცინის სიცრუეზე და დარწმუნებული არიან, რომ ის ნამდვილად იცავს მათ ვენერიული სენის გადადებიდან.

ამბობენ, რომ პროსტიტუციასთან ბრძოლა უშედეგოა, რომ მისი მოსპობა შეუძლებელია, და ამის დასამტკიცებლად ჩვეულებრივად მიგვითითებენ წარსულზე, რომ ის არსებობს უძველეს დროიდან და მიუხედავათ მის წინააღმდეგ სასტიკი ზომების მიღებისა მაინც არა ეშველა რა

გამგეობა. კავშირის წევრებათ სიამოვნებით მამაკაცებიც ჩაეწერენ.

ეკატერინე ბრეშკო-ბრეშკოვსკაია.

III

მეორე კრების შემდეგ ეკატერინე ბრეშკო-ბრეშკოვსკაია დარწმუნდა, რომ მისი იქ გაჩერება უნაყოფო იქნებოდა. სეკტანტები ივანეს სრულს გავლენის ქვეშ იყვნენ, რომელიც მეცადინობდა თავის სეკტის დაკანონებას და ამისათვის მიდიოდა პეტროგრადში, რომ მთავრობის ნება რთვა მიეღო. მან გაიგო, რომ ბელადი ერთს ნაბიჯსაც არ გადადგამდა, მთავრობის საუკმაყოფილოთ, არა თუ რაიმე გადამწყვეტ ბრძოლას შეუდგებოდა. თვით სტეფანე რომელიც წინანდელად თავაზიანად ექცეოდა ბრეშკო-ბრეშკოვსკაიას მთლად ივანეს მხარესა იდგა. პროპაგანდისტკამ გარდაწყვიტა დაეტოვებინა სოფელი. სეკტანტებმა ის საიდუმლო გზით გაიყვანეს სოფლიდან. სტეფანემ წაუკითხა მას ლოცვა, რომელშიაც მოუწოდებდა ღვთის კურთხევას გამოუცნობელ სტუმარზე და ბრეშკო-ბრეშკოვსკაიაც გაუდგა გზას.

რამდენიმე კვირის შემდეგ ის დაბინავდა ერთს დიდს სავაჭრო დაბაში ტულჩინში პოდოლსკის გუბერნიაში. გაიგო თუ არა, რომ მახლობელ სოფელში მცხოვრებნი გამჭვალულია პროტესტით მთავრობისადმი ის გაეშურა მათკენ. გზაში მას დაეწია სტანავოი და დაუწყო გამოკითხვა: ვინ არის ის, საიდან მოდის და აქვს თუ არა პასპორტი? ბრეშკო-ბრეშკოვსკაიას თან არა ჰქონდა პასპორტი, რადგან ის დაუტოვა მან თავის მასპინძელს, რომელმაც რაღაც მიზეზისა გამო მას მოთხოვა პასპორტი, და თანაც აცნობა მთავრობას.—დაჯექი კოზლაზე! უბრძანა სტანოვოიმ და წაიყვანა ის პირდაპირ იმ გლეხთან, რომელთანაც მას ბინა ჰქონდა. მასპინძელი—გულუბრიყვო და მოსულელო ხახოლი ძრიელ შეშინდა და ხელის კანკალით ამოიღო ზანდუკიდან პასპორტი ბრეშკო-ბრეშკოვსკაიასი და მისცა სტანოვოის.

უკანასკნელი შეუდგა ეგზამენს მოგზაურ ქალისას: იხედებოდა პასპორტში და ეკითხებოდა მას, თუ რა ჰქვია სახელად მის სოფლის, მამასახლისის, მწერალის, რომლებმაც მას პასპორტი მისცა, არ შეიძლება, რომ თქვენ ორმოცი წლისა იყოთ, უპასუხა მან; და ბოლოს მოსთხოვა ბარგი. გამოირკვა, რომ უკანასკნელი იყო მიზეზი სტანოვოის ვიზიტასა. როცა თავის ბინიდან მიდიოდა ბრეშკო-ბრეშკოვსკაიამ დასტოვა თავის ფუთა, რომელშიაც იყო ქარტა გერენალურ შტაბისა პროკლამაციები და სხვა. მან გამოცდილებით იცოდა რომ გლეხები, იმდენად სიფთხილით ეკიდებიან თავის მდგმურებს, რომ არასოდეს ხელს არ ახლებენ მათ ბარგს. ამისათვის ის არ ღებულობდა არავითარ ზომებს სიფრთხილისას და დასტოვა თავის ფუთა საერთო ოთახში. ამ შემთხვევაში გამოირკვა, რომ მის მასპინძელს ჰყავდა დაქირავებული „ბატრაჩკა“ რომლის დიდი უკმაყოფილონი იყვნენ და უპირობდენ ანგარიშის გაწმენდას და გაშვებას. ეს იყო გაფუჭებული გოგო, განებივრებული ქალაქის ახლო ცხოვრებით, რომელსაც არა სწამდა სოფლის ჩვეულებანი. მასპინძლის შინ არ ჰყოფნის დროს მან მოახერხა გაეხსნა ფუთა მოგზაური ქალისა. იმ დღესვე ის წავიდა ბოსტანში სამუშაოთ სტანოვოისთან და მოუყვა მას, რომ მის ბატონთან დაბინავდა უცნაური რუსის ქალი, რომელსაც ფუთაში აქვს საკვირველი ქაღალდები, როგორც ეტყობოდა ის გააკვირვა ქარტამ.

გაუკეთეს თუ არა ოპისკი ბრეშკო-ბრეშკოვსკაიას და აღმოაჩინეს თუ არა უკანასკნელი სტანოვოი სიხარულით წამოხტა! ქარტის შემდეგ მან იპოვა პროკლამაციები და უკვე გაიგო, თუ ვისთან ჰქონდა საქმე. მან უმალ შესცვალა კილო და დაუწყო დატყვევებულს თქვენობით ლაპარაკი და უკიდურესი ზრდილობით მოქცევა. რაც უფრო მეტად უიმედო ხდებოდა მისი მდგომარეობა, იმდენათ უფრო მკვახეთ უპასუხებდა დატყვევებული. მან უარი განაცხადა კითხვებზე პასუხის მიცემისა, დაჯდა და შეუდგა ვაშლის გათლას. დაუძახეს რწმუნებულთ, ქალებს, რომლებმაც გაჩხრიკეს პროპაგანდისტკა. დაუყენეს დარაჯნი! ბრბო ცნობის მოყვარეობით თავს იყრიდა ეზოში. სტანოვოი შეუდგა გრძნობით პროკლამაციების კითხვას.

— ქაღალდები ძრიელ კარგია, სთქვა ერთმა მოხუცებულმა გლეხმა, როცა სტანოვოი ერთი წუთით გავიდა. —რა იქნება უკეთესი, თუ რომ მთელი მიწა თანასწორად გაიყოფა. და თუ ბატონები, მღვდლები და ჩარჩები მოგვშორდებიან!?. ერთი მხოლოდ არ არის კარგი: რასთვის არის ნათქვამი, რომ მეფე არ გვინდა? როგორ შეიძლება უმეფოთ ცხოვრება? მაშინ ვინ იქნება მმართველი?

და იწყო წვალება საბრალო პროპაგანდისტკასი: მოვიდა გამომძიებელი, საღამოზე ჩამოვიდა ისპრავნიკიც. შუაღამისას ბრეშკო-ბრეშკოვსკაია წაიყვანეს ციხეში და მცველად დაუყენეს მთელი ბრბო გლეხებისა. გლეხები ცეცხლს არ შორდებოდენ და სულ იმას ეკითხებოდენ ტყვეს, თუ როგორ და რასთვის დაიჭირეს? ის მოურიდებლად დაწვრილებით უამბობდა თავის აუდიტორიის შინაარს თავის ქაღალდებისას.

სამი დღე იჯდა ბრეშკო-ბრეშკოვსკაია ტულჩინეცკის ციხეში ყოველ დღე ახალ დარაჯთა ბრბოს უყენებდენ მას. და ტყვე ქალი მათ თავის პროკლამაციების შინაარს აუწყებდა. ბოლოს მოინახა ორი გლეხი, რომლებმაც დააბეზღეს მთავრობას, რომ ტყვე ქალი დარაჯებს საამბოხოთ მოუწოდებდა.

შემდეგში გამოირკვა, რომ კიევში შემთხვევით დაიჭირეს „ჩაიკოვსკის წრის“ თავმჯდომარე ლურე. ის პროპაგანდისტებში შუამდგომლობას ეწეოდა, რომლებიც იყვნენ წასული ხალხში. მისი შუამავლობით ბრეშკო ბრეშკოვსკაია თავის მეგობრებს წერილებს სწერდა. ლურეს ქაღალდებში აღმოჩნდა ადრესი ბრეშკო ბრეშკოვსკაიასი, რომელიც ცხოვრობდა თეკლე კასოვაიას პასპორტით. დაუყონებლივ კიევში გაემგზავრენ ჟანდარმები მის დასაჭერად და თითქმის იმავე დროს წამოვიდა სტეფანოვიჩიც, რომ მოენახა პროპაგანდისტკა და გაეფრთხილებია ის, მაგრამ ვერც ერთმა ვერც ჟანდარმებმა და ვერც სტეფანოვიჩმა ვერ იპოვნეს ბრეშკოვსკაია. ის უკვე წასული იყო ტულჩინში, სადაც ვერ აცდა დატყვევებას. როცა ის ტყვეობაში იყო მან ერთს დარაჯს გლეხს ორი მანეთი მისცა და სთხოვა, რომ გაეგზავნა შემდეგი შინაარსის ტელეგრამა:

„Сынъ заболѣлъ, не пріѣзжай. Катирина Коренная.“ დაპირებული ენით ეს იმას ნიშნავდა, რომ „სტეფანოვიჩ მე დაჭერილი ვარ და არ ჩამოხვიდე“.

გლეხმა ეს ქაღალდი ტისაცკის გადასცა და უკანასკნელმა ისპრავნიკს. ისპრავნიკი აღელვებული წამოვარდა ამ ქაღალდის ნახვით. აფრინა ტელეგრამა კიევში გენერალ გუბერნატორთან, სადაც იმდენი ხმაურობა გამოიწვია, რომ მისი შინაარსი ყველამ გაიგო, რომელიც არა პირდაპირი გზით მივიდა თვით მისამართან ე. ი. სტეფანოვიჩთან.

ბრეშკო-ბრეშკოვსკაია გადაიყვანეს სამაზრო ციხეში, სადაც მიახწია ლეგენდებმა. ხალხი ამბობდა- რომ დაჭერილია არა უბრალო დედაკაცი, არამედ დიდი კნეინა, ანუ თვით დედოფალი. გავარდა ხმა, რომ იპოვნეს გრამოტები, სადაც აღნიშნულია „მთელ მსოფლიოში შესასვლელი კარები!! ტყვეები დიდი პატივისცემით ხვდებოდენ მას. მამასახლისი, რომელიც უფლების აღმატებისათვის ციხეში იჯდა სთხოვდა მას, რომ [illegible] მოეხდინა განკარგულება მისი განთავისუფლებლად.

მიუხედავათ, რომ ის ცალკე კამერაში იჯდა და კარებთან ჯარის კაცი უდგა ეს არ აფრთხობდა ტყვეებს მიემართად მისთვის. ერთი მას შველას სთხოვდა, მეორე რჩევა დარიგებას.

ტალახი, სიმყრალე, ტილები იყო ხვედრი ტყვე ქალისა. კამერაში ისეთი სიცივე იყო, რომ წყალი იყინებოდა. რადგან ის სასამართლო მთავრობას მტკიცე უარს უცხადებდა თავის ვინაობის დასახელებაზე ისენი სხვა და სხვა ეშმაკობას ხმარობდენ. ერთხელ ბრალმდებლმა ერთს ტყვეს სამი მანეთი მისცა, რომ შეეტყო მას ვინაობა ტყვე ქალისა, და მიეღო მისგან წერილი. ამ გზით ბრალდებელს სურდა გაემტყუნებინა ბრეშკო ბრეშკოვსკაია იმაში, რომ ის ნასწავლი ქალი იყო. მეორეჯერ მან შემჩნია ბრალმდებელი თავის კამერის კარებთან ჩუმათ ყურის მგდებელი. როცა ის დარაჯებს ესაუბრებოდა ჩვეულებრივათ ის მოუხრობდა დარაჯებს, რომ დაჭერილია ხალხისათვის, რომლისათვის მას გრამატები მიქონდა და სურდა, რომ გაეთავისუფლებინა ხალხი მთავრობის დევნიდან. რომ ხალხისათვის საჭირო იყო იარაღით ხელში ამბოხება და სხვა რაც დაწვრილებით ჩაწერილია საბრალმდებულო ოქმში. ბოლოს და ბოლოს ბრეშკო-ბრეშკოვსკაია იძულებული იქმნა დაესახელებინა თავის თავი. მან აღიარა თავისი მოქმედება, რომ ის ემსახურება სოციალიზმს და ცდილობს არსებული სახელმწიფო წესწყობილების დამხობას. კიევის ციხიდან ის პეტერბურგის ციხეში გადმოიყვანეს. 23 იანვარს 1878 წ. „193-სის“ საქმეში, ისეც ერთს დამნაშავეთ ითვლებოდა და 5 წლის კატორღა მიუსაჯეს ამ სასჯელის მოხდის შემდეგ ის ციმბირიდან გაიქცა. 1908 წ. ბრეშკო - ბრეშკოვსკაია საზღვარგარეთიდან რუსეთში გაემგზავრა ძველებურად სამუშაოთ, სადაც ის დაჭერილი იქმნა აზეფის გამცემლობით და გადასახლებული შორეულ ციმბირში, საიდანაც ის დღევანდელმა რევოლიუციამ თავის საყვარელ ხალხს ისევ დაუბრუნა. ბრეშკო ბრეშკოვსკაიას შემოქმედური ნიჭი და საზოგადოებრივი მოღვაწეობის უნარი მრავალ ნაირია: მას აქვს არა მარტო ნიჭი პროპაგანდისტკისა, ის არის აღჭურვილი როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული ცოდნა გამოცდილებით. დიდით დარბაისელი და დიდი ინტუიციის პატრონი, რომელსაც შეუძლია ხალხის გულში ჩახედვა მისი ნდობისა სიყვარულის გამოწვევა და თანაც აღმოჩენა ღირსეული, თუ უღირსი ამხანაგებისა. მას ინსტიკტიურად სძულდა აზეფი და რამდენათ ცენტრალური კომიტეტი უკანასკნელის ნდობით იმსჭვალებოდა, იმდენათ დიდი იყო მისი უკმაყოფილობაც. მაგრამ სანამ შვილი შვილებმა ფეხი ქვას არ წაანტკრის, მანამ თავის გონიერ დიდ-დედას ამ შემთხვევაში არა დაუჯერეს რა.

მის მოსპობას. მაგრამ დიდი ხნიდან ცნობილია, რომ სასტიკი ზომები სიავეს არა სპობს, არამედ აიძულებს მას დაფარვას. ამას გარდა ასეთ ზომებს ხმარობდენ განსაკუთრებით ქალების წინაალმდეგ და არა მამაკაცებისა, რომელნიც იწვევენ პროსტიტუციას.

წარმოვიდგინოთ, რომ პროსტიტუციასთან ბრძოლა უშედეგოა, ჩვენ მაინც ვამჯობინებთ, რომ კაცობრიობამ შექმნას იდეალი თუნდაც მიუხწეველი, მხოლოდ ესწრაფებოდეს მისკენ და მიდიოდეს პროგრესის გზაზე ჭალარა სიძველისაკენ უკან მიუბრუნებლად. და იმ მოფიქრებით, რომ წარსულში არსებობდა სიავე, უიმედოთ და გულხელ დაკრეფილი არ ურიგდებოდეს მას. მე ჩემი მხრით გულწრფელად მსურს რომ თანამედროვე ცივილიზაციური საზოგადოება შეუდგეს დაჟინებულს ბრძოლას პროსტიტუციასთან, მაგრამ არა სასტიკი ზომებით უპატიოსნო საზოგადო ტემპერამენტის მსხვერპლის წინაალმდეგ, არამედ ჰუმანიური საშუალებით ზნეობრივი და გონებრივი ამაღლებით ორთავე სქესის ახალგაზდებისა. ქალთა მდგომარეობის გაუმჯობესებით და სოციალური რეფორმებით. მე დარწმუნებული ვარ, რომ მაშინ პროსტიტუციასთან ბრძოლა საგრძნობელს შედეგს მოიტანს და თანამედროვე ხალხი ამით ჩასწერენ ბრწყინვალე ფურცელს კაცობრიობის პროგრესის ისტორიაში.

ექიმი მ. ი. პაკროვსკაია.

სტამბა „ძმობა“ პუშკინის ქ. სახლი გოკიელოვისა.